

# სალოგოზო პერიოდი

7  
მაისი  
სამშაბათი  
1991

№52

(11685)



ეროვნული  
შინალობა



საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი

შანი 10 კპპ.

## საპარტიო პოპოლიზმის სტიქიის დაზარალებულ რაიონებში

ქუთაისი, ხაინთორმის კორე-საონდენტი მაკა კილაძე. 4-5 მაისს, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია კვლავ ეწვია სტიქიით დაზარალებულ რაიონებს.

ლოთა უმეტეს ნაწილს ქალები და ბავშვები შეადგენენ. ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა და ესაუბრა რაიონების პრეფექტებს, გაეცნო აქ არსებული შტატების საქმიანობას, აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას. მოსახლეობასთან საუბრისას პრეზიდენტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ სამთავრობო ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც მიზნად ისახავს აღდგენაზე მდგომარეობის სტაბილიზაციას.

სტიქიის დღეებში ქუთაისი გახდა ის ძირითადი მაკორდინებელი ქალაქი, სადაც თავს იყრის სტრატეგიული და ოპერატიული საკითხები, საიდანაც უმეტესწილად ხორციელდება დახმარება ყველა მიმართულებით. ქუთაისში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ქალაქის პრეფექტს, აქ არსებული საგანგებო შტაბის ხელმძღვანელს არჩილ კოსტავას, დეტალურად გაეცნო შტაბის საქმიანობას, პრობლემებს. ბატონი ზვიად გამსახურდია იყო გელათში, მოწამეთაში... მოინახულა ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, სადაც სტიქიის შედეგად არის მცირეოდენი დაზიანებები.

## პარტიის ქალაქში



## იმაღლი გადარჩა

არ მინდოდა წასვლა, იქ, სადაც მიწისძვრა მოხდა. ვიცოდი — იმას ვერ დავერდი რასაც ვნახავდი. მეგობარმა მითხრა; თანადგომა არ იცი რას ნიშნავსო?! პანაშვიდზე რომ მიდინარ და თანადგომის ნიშნად ხელს ართმევ, ამით ენერჯის გაღასცემ ჰირის სუფალს. და ეს ის ენერჯიაა, რომელიც ტრაგედიას აძლენებსო... ასე აღმოჩნდა გზაში. დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები გახსოვთ?! არ ვიცი, ვეღარ დავინახე თუ მართლა აღარ არის... რატომ გვანგვნა კიდევ ერთხელ მამაზეც ვიყავი თავისი ძალა — 20 წაშში მთელი სიცოცხლის ნაჯადარი დააკცია. ვხვით, რომ ცოდვები დაგვიგროვდა, ღვთისმშობლის წილხვედრს ეს ეტრო?! (დასასრული მე-2 გვ.)

(ბევრი ვეცადე, ვერ შევეძლო თქვენთვისაც რომ არ დამეცა. ეს შეიკრებები). კარგები, კარგები, სახელდახელო ფიცრულები, სადაც გაემქრონ ზედა სართულები... ერთი რამ — შევინიშნე, სახლების ქვედა სართულები, ძირი მყარად დგას. უმეტესობას, ანუ იმ სახლებს, რომლებიც მთლიანად არ ჩაიქცა ზედა სართულები, სახურავები აქვთ დაზიანებული. ერთმა ფიზიკოსმა ისიც მოთხრა, თუ ეს ხელოვნური მიწისძვრაა, გამოსხივება ფონს აუცილებლად მისცემსო. ტრაგედიას არ შეგიშუბუქებს, მაგრამ ხალხმა მაინც უნდა იცოდეს საიდან რა უბედურება ელის. ზომ გავაგებინებო?!)

## საპარტიო რესპუბლიკის მთავრობის კომისიის ცნობით:

დაზარალებული რაიონების პრეფექტურებთან შექმნილია ოპერატიული შტაბები, რომელთა საქმიანობის კოორდინაციას განახორციელებს ქ. ქუთაისის პრეფექტურასთან შექმნილი საგანგებო შტაბი; მთავრობის კომისიასთან შეიქმნა შემდეგი საკოორდინაციო ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კომისიის ეფექტიან ფუნქციონირებას: საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და ღემოგრაფიის სამინისტროსთან მთავრობის კომისიის წევრის, მინისტრის — თამაზ გუგუშვილის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი აფიქსირებს საწარმოების, ორგანიზაციების, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების და ცალკეული მოქალაქეების საქველმოქმედო ინიციატივას და ორგანიზებულად მიმართავს მას დაზარალებული რაიონების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, დემოგრაფიულად შეისწავლის დაზარალებულ ოჯახებს და ხელმძღვანელობს მათ დროებით განსახლებას. ამ ჯგუფის მუშაობაში მთავრობის ხორციელდება დაზარალებული ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გაცემა. (ტელეფონები: 93-63-88, 93-61-51, 93-61-88, 93-48-27);

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, მინისტრის პირველი მოადგილის ავთანდილ წილოსანის ხელმძღვანელობით. ჯგუფის ფუნქციაა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ორგანიზაციების საშუალებით დაზარალებული რაიონების მოსახლეობის სურსათით, ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგების უზრუნველყოფა, სასიცოცხლოდ აუცილებელი სტრატეგიული პროდუქტების აკუმულაცია — განაწილება. (ტელეფონები: 29-30-65, 29-30-66, 29-30-61); საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან, მთავრობის კომისიის წევრის, მინისტრის ალექსანდრე ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ჯგუფი უზრუნველყოფს სტიქიური უბედურების ზონაში მოსახლეობის მიმოსვლას, ყოველგვარი სახის გადაზიდვებსა და დამხმარე ჯგუფების გადაყვანას შესაბამისი ტრანსპორტის სახეობით, მათი ოპერატიული და შეუფერხებელი მოძრაობის ორგანიზაციას. (ტელეფონები: 36-45-55, 36-45-27; ტელექსი — 211281, რიონი). მთავრობის კომისიის საკოორდინაციო ჯგუფი, როგორც თავს უყრის ყველა სახის ინფორმაციას, დარგობრივი ჯგუფების მეშვეობით წარმართავს და ანაწილებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ჰუმანიტარულ დახმარებას, ახორციელებს ოპერატიულ კავშირს პრეფექტურებთან შექმნილ შტაბებთან, ინფორმაციას აწვდის რესპუბლიკის პრესას, ტელევიზიასა და რადიოს, სხვა ქვეყნების მსოფლიო ინფორმაციის საშუალებებს. (ტელეფონები: 93-78-98, 93-79-36; ტელექსი — 212917; ტელეფაქსი — 932094);

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროსთან, მთავრობის კომისიის წევრის, მინისტრის ივანე ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ჯგუფის ფუნქციაა წარმოადგინოს დიდმასშტაბური მატერიალური რესურსების დაგროვება და მათი განაწილება. (ტელეფონები: 89-80-40, 89-41-15, 89-41-19, ტელექსი 21-24-46, ფოტონი, ტელეფაქსი — 38-98-14); საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან, მთავრობის კომისიის წევრის, მინისტრის გურამ მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. ჯგუფი კოორდინაციას გაუწევს სამშენებლო-აღდგენით სამუშაოებს. (ტელეფონები: 37-42-76, 37-17-39, ტელექსი — 212104).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომისია მიმართავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ორგანიზაციის კოლექტივებსა და მათ ხელმძღვანელებს, რომ ყველა სახის საქველმოქმედო საქმიანობა განახორციელონ მხოლოდ საკოორდინაციო ჯგუფთან შეთანხმებით და მასთან ურთიერთობით. რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების გაშუქების დროს მაქსიმალურად ისარგებლონ მთავრობის კომისიასთან არსებული საკოორდინაციო ჯგუფის კონსულტაციებითა და რჩევებით, მისგან მიღებული მასალებით.

## მიმართვა პრეზიდენტის კანდიდატებს

ღრმად პატივცემილი მოღვაწეობა შენსევეების დროს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ სხვადასხვა პარტიების ქიშპობამ და დაპირისპირებამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გათიშვა და მათ დასუსტება, რაც შეუძლებელი არ დარჩენილა მტრებისათვის და სისუსტემ დააჩქარა ჩვენი დაპყრობა. გარდა ამისა ჩვენ, როგორც ქართველებს, არ გვინდა, რომ ვინმე ჩვენი მოღვაწე აღმოჩნდეს „დამარცხებული“ და ამდენად გულნატკენი და ქართულ მთავრობასთან დაპირისპირებული. საქართველოსათვის

ყოველი მოღვაწე განსაკუთრებით ძვირფასია დღეს. დღეს და ყოველთვის საქართველოს სჭირდება მონოლითრობა. გთხოვთ, ასწონ-დამწონთ ყოველივე თქმული და არა თქმულიც და მოხსნათ თქვენი კანდიდატურები (ჩემის აზრით, ერთის გამოკლებით), რაც კიდევ უფრო ეგამაღლებთ ხალხის თვალში და დავგარწმუნებ, რომ თავზე უფრო გიყვართ საქართველო. ჯანგაპარ ბაპრაძე, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარე.





# პარპეზის ქალაქში



# იქვე პალარხა

(დასასრული)

თორემ, ამბობენ საჩხერეში რომ მდინარე ჩამოდის, ჩიხურა აიარ არის, სხვა მდინარეაო. ამბობენ: რალაც ნიშნით დინგრა საბლემო — ერთს რომ სულ ჩამოექცა, გვერდით მეზობელს ბზარიც არ გასჩენია. ამბობენ... ბევრ რამეს ამბობენ. გორისელმა ჯაჯალა კიბაროიძემ გვითხრა, ისეთი რამ ვნახეთ, მთელი ცხოვრება ვერ ამოვალთ სიკვდილის შიშდანიო.

საჩხერეში პრაქტიკულად არ არის სახლი, რომელიც არ დაზიანებულია (თუ სულ არ ჩაიქცა).

პრეფექტი ბეხია ქუთათელაძე დიდი ხანია ვეღარ მოძრაობდა. — რამდენი ხანია არ გიძინათ?

ჩაეცინა.

— არ ვიცი, რაც ეს მოხდა (ეს შეიქთხვა 3 მაისს დაუესვი).



მოადგილე გოგა გულაძე, ექიმები, ექთნები, მზარეულები, ვეფქრობ, დარაჯებიც.

მეგობარი ცხოვრობს ჩემი საჩხერეში — თამარია, გადარჩენილა შენი სახლი მეტეი, გარედან რომ შევხედე, ვუთხარი. დიდი სიფრთხილით შევინთ შემიყვანა... ყველაფერი თავიდან დასაწყებია.

— შენ არ იცი აქ რა ხდებაო. მთავარია, ცოცხლები ვართო— მითხრა.

ამ კვლევებისათვის ოთახშიც 29 აპრილის განწყობილება. დაინგრა წლობით ნაშენი, მაგრამ გვეჭრა, გადარჩა იმედი კარგების ქალაქში.

მაია პალარხაში საჩხერის რაიონი. ოლეგ გველესიანის ფოტოები.



ჩვენი გაზეთის 4 მაისის ნომერში გამოქვეყნდა გოგა გობეჩიას წერილი „ჩემი მეგობარი ნუგზარი ანუ შტრახები სტაქვისაგან დაპარტახების თაობაზე“. იგი ეხებოდა საჩხერელი ჟურნალისტის ნუგზარ სხირტაძის ტრაგედია, რომელიც მას და მის ოჯახს თავს დაატყდა 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად. უსახლკაროდ დარჩენილი ჟურნალისტის, სამი მცირეწლოვანი ბავშვის მამის დასახმარებლად საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ გადაწყვიტა გადარიცხოს სამი ათასი მანეთი.

კარგი იქნებოდა თუ ამ მთავალის უშუალოდ რედაქციებიც მიბაძვებ.

114 კაცი დაიღუპა, 70 უზღო-უკვლოდ დაიკარგა, საქართველოს რვა რაიონის 67 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა — ასეთი დღეისათვის 29 აპრილს ჩვენთან მომხდარი მიწისძვრის შედეგად. სასტუმრო „მეტეხში“ გამართულ პრესკონფერენციაზე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ლიგის წარმომადგენლებმა, მისი დე-ლუგაციის ხელმძღვანელმა ამერიკელმა ფრანსუა დე ლა როშმა

# ქრონიკა ინფორმაცია განხილვა

აღნიშნა, რომ საერთაშორისო წითელი ჯვარი მზად არის ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკისათვის მიწისძვრით მიყენებული მატერიალური ზარალი 3 მილიარდ მანეთამდეა.

მოგუწოდებ საქართველოში მცხოვრებ ჩემს თანამემამულე აზერბაიჯანელებს ყველასთან ერთად გაიზიარონ ქართველი ხალხის მწუხარება და უბედურება. ვაცხადებ, რომ მზად ვარ მივიღო ბავშვები მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან მისამართით: ქ. თბილისი, გლდანის მასივი მე-2 მიკრორაიონი, კორპუსი 33, ბინა 86. ალხან დუშუნი (აბასოვი).

ბადრი კაციტაძეს სურს შეიფაროს სტიქიით დაზარალებული ორი ობოლი ბავშვი. მისი მისამართია: გულირფის რაიონი, სოფელი დრანდა, კორპუსი 1, ბინა 57.

ქუთაისი. ამბროლაურის რაიონის მიწისძვრით დაზარალებულთა ძირაგაულის სპონსორი გახდა ქუ-

თაისის ავეჯის საწარმოლო გაერთიანების კოლექტივი. მათ გადაწყვიტეს მთლიანად აღადგინონ სოფელი.

იპონის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკას დაეხმაროს 300 ათასი ამერიკული დოლარით. ეს გადაწყვეტილება მიღებულია პუბლიკური მოსაზრებებით საქართველოში ამას წინათ მომხდარი მიწისძვრისათვის დაეხმარებოდნენ.

საქველმოქმედო საზოგადოება „სეანეთის“ წევრებმა მიწისძვრის მერვე დღისგან დაზარალებულებს ჩაუტანეს ტიანანხევარი მედიკამენტები, რომლებიც მათ უსასყიდლოდ გამოუყარა გაერთიანებმა „საქართველომარშალმა“.

თბილისში მომხდარი ნაძალადევის რაიონის ხილბოსტანავიკრების განყოფილებამ 4.200 მანეთის საქონელი გაუგზავნა სტიქიით დაზარალებულ რაიონებს მცხოვრებლებს. ხოლო 3.600 მანეთი ფონდში გადაირიცხა.

სომხეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატისაგან მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მათ დაზარალებულებისათვის გადარიცხეს 30 ათასი მანეთი.

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პარტნიორი, თურქული ფირმა „კოკასალ ინშურანსი“ დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ აგზავნის პურის ფქვილით დატვირთულ ერთ მამარგო ავტომანქანას.

საწარმოლო გაერთიანება „საქთა-მბაქოს“ მშრომლებმა დახმარების ფონდში გადარიცხეს 60 ათასზე მეტი მანეთი. დაზარალებულებს პროდუქტები და საჭირო ნივთები გაუგზავნეს აგრეთვე საწარმოლო გაერთიანება „საქსაბურის“ კოლექტივმა, ფირმა „სამეგამ“, ფირმა „კავკასიონმა“, საგარეოს აგრო-მრეწვის კოლექტივმა, კონკრეტულ ქართული კონსერვების“ საწარმოებმა.

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარმა საკოორდინაციო სამსახურმა, მიწისძვრით დაზარალებული რაიონების — ონის, ამბროლაურის, კიათურისა და საჩხერის უსახლკაროდ დარჩენილი პედაგოგების მორალური და მატერიალური დახმარებისათვის, სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის, საჩხერის რაიონულ საკოორდინაციო სამსახურთან, შექმნა შტაბი, გახსნა ანგარიში №60904 საჩხერის რაიონის აგრომრეწველანკა, ჩარიცხა 20 ათასი მანეთი და გაგზავნა პირველი დახმარების საქონელი.

აღნიშნული რაიონების წარმომადგენლებმა მთავარ საკოორდინაციო სამსახურში — მარიამ ნავროსაშვილმა, დავით ბერულოძემ და თენგიზ ფალავანდიშვილმა დაზარალებული პედაგოგებისათვის გადაუღებელი დახმარების მიღების მიზნით, დაუკავშირდნენ შტაბის თავმჯდომარეს ბატონ ანდრო ლონაძეს.

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო სამსახური.

# კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში

1990 წელს რესპუბლიკის კოოპერატივების რიცხვმა შეადგინა 13,5 ათასი ერთეული, მათ შორის მოქმედი 8,7 ათასი, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მოცულობამ შეადგინა 1739,7 მლნ. მანეთი, მათ შორის სახალხო მომსახურების საქონლის წარმოება 845 მლნ. მანეთი ანუ 48,6%, საყოფაცხოვრებო მომსახურება 11,4%, მშენებლობა და საპროექტო სამუშაოები 14,5%, მანქანები, როდესაც სახეობის კოოპერატივების მიერ გაწეული მომსახურება და ამონაგები შეადგენს 1,8%-ს (30,6 მლნ. მან.), საავტოო კოოპერატივების — 3,4% (60 მლნ. მან.), საავტოო-მემსყიდველი — 3,3% (57,5 მლნ. მან.). კოოპერატივებმა რესპუბლიკის ბიუჯეტში შემოსავლის ყველა წყაროს მიხედვით შეიტანეს 195 მლნ. მანეთი.

ზემოაღნიშნული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აშკარად მიგვაჩვენებს მასშტაბებს, რომ სახლგარეშე გარდასული დასახლებული პუნქტების კოოპერატიული მოძრაობის კარგად მომზადებული-სავაჭრო დარგი (ეგრეთ წოდებული იოლშემოსავლიანი კოოპერატივები), ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და გავრცელებულია კოოპერატიული მოძრაობის დისკრიმინატორთა მიერ.

რადიკალურად არ უნდა გამოჩნდეს, კოოპერატიული მოძრაობის დისკრიმინატორ და ხელისშემშლელთა პირველ რიგში გამოდის საბჭოთა მთავრობა, რომელიც კოოპერაციის შესახებ მის მიერვე მიღებული კანონის „დილა-სალამოს“ ცვლის ამ მოძრაობის შესახებ ზედმეტად. იქნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობის კოოპერატიული მოძრაობა თავდაპირველად უპირატესად იმისათვის, რათა ხაზი გაესვა ეკონომიკური სფეროში თავისი „მოქარბეული“ დემოკრატიის დასამტკიცებლად, მაგრამ როცა კოოპერატიული მოძრაობამ იწყო სწრაფი განვითარება, (მასში ჩადებული საბაზრო მექანიზმის გამოყენებით), სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული აპარატის თანდათანობითი შევიწროვება, ფონდებისა და განრიგების მფლობელმა სამინისტროებმა და უწყებებმა დაიწყეს ფართო ეკონომიკურ შეტევა კოოპერაციის წინააღმდეგ, არის ყველა პირობა, რათა საბაზრო ეკონომიკის ეს პირველი ადგილი იქნას ჩახშობილი.

მიგვაჩვენებს, რომ პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა“ ეკონომიკური კონკრეტია, რომელსაც სავსებით უჭერს მხარს რესპუბლიკის კოოპერატიორთა ყავშირი, იქნება მტკიცე გარანტია რესპუბლიკაში კოოპერატიული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისა.

სამისოდ ახალმა პარლამენტმა პირველ რიგში უნდა შეიშუშოს სახელმწიფო და კოოპერატივების ინტეგრირების გამოძინება, უფრო მოქნილი კანონის საერთოდ მეწარმეობისა და მათ შორის კოოპერაციის (ლათინური სიტყვაა და ამხანაგობას ნიშნავს) შესახებ, რომელსაც უნდა დაერეგულიროს კოოპერაციისთან დაკავშირებული ყველა საკითხი, იმ ანგარიშით, რომ ეკონომიკის ამ სექტორში წამდაუწყებელი ცვლილებების შეტანის უფლება არავის არ მიეცეს.

დღეს რესპუბლიკის ეკონომიკაში წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაცია ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ის ანგარიშგასაწევი არა მარტო იმიტომ, რომ საქონელს ქმნის და სხვა სახის მომსახურებას უწევს, არამედ იმისათვისაც, რომ კოოპერაციისთან დღეს სოციალურად დაკავშირებული რესპუბლიკის 600 ათასამდე მცხოვრები, რომელთა ბედთან თამაში ძალზედ სახიფათოა. იმ პირობებში, როცა საბაზრო ეკონომიკა კარგად მომდგარი, როცა ცენტრალური რგოლები, საფონდო-სავაჭრო სისტემა ირდევია, ეკონომიკურად მოახლოვდა ადამიანმა არ შეიძლება კოოპერაციის წინააღმდეგ გაილაშქროს, რამეთუ ცენტრალიზებული ეკონომიკა „მშენიერად“ ჰქონდა ორგანიზებული კომუნისტური რეჟიმს, რომელსაც თავისი მმართველობით ბუშბერაზი ქვეყანა და სხვა „მეგობარი“ ქვეყნები შიმშილის ზღვარზე მიიყვანა. კოოპერაციის წინააღმდეგ განწყობილ სახლგარეშე ნაწილს, ეკონომიკაში დიდიხანა პიროვნებებს შეიძლება ცალსახად დაესვათ კითხვა: რომელი ეკონომიკა მოსწონთ? ყოფილი და დღეს კიდევ გაბატონებული ცენტრალიზებული ე. წ. სოციალისტური წარმოების წესი, თუ ასეული წლები განმავლობაში აპრობირებული საბაზრო ეკონომიკა, რომელიც არის კაპიტალისტური წყობილების ბაზისი. ამ ორი მიმართულების მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა თავი უნდა დაანებონ „ორმაგ“ თამაშს. მეორეებს არ ეთმობათ რა ცენტრალიზებული ეკონომიკა, ხმაელა ვერ შედგენს საბაზრო ეკონომიკის ლანძვას. ამის გამო ტუხვს განვაშს იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რომელიც პირველ ეტაპზე თან ახლავს საბაზრო ეკონომიკას, განსაკუთრებით კი მის „პირ-მშოს“ — კოოპერატივს. ავიწყდებათ, რომ საბაზრო ეკონომიკის მართავს ობიექტური ეკონომიკური კანონები და ისეთი მცნებები, როგორცაა „მარცხენა საქონელი“, „სპეკულიანტი“, „გაფლანგვა“, და ა. შ. გამოიყვანა ცენტრალიზებული ეკონომიკიდან, რომ ნეგატივებს პირველ ეტაპზე გვიხდა თუ არ გვიხდა უნდა შევხვდეთ, თუნდაც დღევანდელი ინტერესების საწინააღმდეგოდ. რაც მეტ ხელსეზურ შეზღუდვებს შემოვიღებთ, რაც მეტ კონტროლიორ-შემოწმებებს გავუჩენთ მათ, მით მეტ ანომალიასთან ვუქმნება საქმე, უფრო მეტად დავცილებით ჩანსალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების თარიღს. მისაღებად უნდა მივიჩნიოთ კონტროლის ერთ-ერთი და უპირველესი ფორმა, მაკალი ანალატიკური საგანდასახლო ინსპექცია. შემოსავლების ბიუჯეტში დამალვა უნდა გახდეს კოოპერატივისათვის აუტანელი ეკონომიკური ტვირთი.

ყველა სხვა პირობებში: აკრძალვა-დაქვერებით, ეკონომიკის ცენტრალიზებულად — დიქტატი მართვით, ყველაზე კარგი, რომელიც შეიძლება მივიღოთ, ეს იქნება 1985 წლის საბჭოთა ცხოვრების დონე. ყველაფერთან ერთად ჩვენ გვინდა სამართლებრივი საქართველო გვექონდეს, რომელსაც ვერ მივიღებთ იმ პირობებში, თუ ვაუწყებთ ჩვენი უფროსი „მძებრის“ გზას, დილა-სალამოს რომ ცვლიან კანონებს. კოოპერაციის კანონს ენდო ბევრი ჩვენი მოქალაქე. მათ შორის ისეთი, რომლის ოჯახშიც უპატიოსნოდ ერთი კაპიტო რომ არ შეესულა. ბევრმა სახელმწიფო ვალიც აიღო, კოოპერატივი მოაწყო, მისი ძირითადი სამსახური კოოპერატივი გახდა. დღეს კი უნდა ვუთხარათ, ხვალღან უნდა გაგაუქმდეთ. ამ დიდი გულთმისნობა არაა საქართველო, ყველამ თავისი თავი იმ კოოპერატიორის ადგილზე უნდა წარმოიდგინოს, ვინც ასე ბრძალა ენდო საბჭოთა კანონს.

როგორც ზევითაც აღინიშნა, დიდი შეტევები ეგრეთ წოდებული კომერციული ტიპის კოოპერატივებზე (სავაჭრო, საკონსტრუქციო წარმოების, სავაჭრო-მემსყიდველ-გამსაღებელი, საკონსტრუქციო) ზოგიერთი ამბობს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ მხოლოდ საწარმოო კოოპერატივებს“. ნაწარმს გასაღება-გაცვლა და სხვა კომერციული ტიპის ოპერაციები სჭირდება. არ არსებობს არც ერთი ცივილიზებული — განვითარებული ქვეყანა, რომლის ეკონომიკური სიძლიერის წყარო ჯანსაღი კომერცია არ იყოს, რაც შეეხება ე. წ. საკონსტრუქციო კოოპერატივებს, ის საბჭოთა წყობილება „პირმოდა“, ასეთი სავაჭრო საწარმოები არ არის არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, რადგან იქ ყველა სავაჭრო საწარმოო კომერციული, რომლის მიზანი საქონლის გასაღებაა და არა სპეკულაცია. სპეკულაციას ჩვენ შეაჩვენებთ, კარგად თუ ნებისმიერ სხვა სახელმწიფო კოოპერატივების შეზღუდვით ვერ მოვასობთ, კოოპერატივის მიგვირდა ამს „შესანიშნავად“ მოახერხებენ ცალკეული პიროვნება — სპეკულიანტები, თუ სახელმწიფო სექტორის კომერციის კუთხის მუშაებში. გამოეწოვებულ შეცდომას ჩადიან ის ამხანაგები, ვინც ფიქრობენ თუ კოოპერატივებს ვაუწყებთ — შაქარი, კარაქი და „ძმანი“ მისი დასლებზე დახვადება. ეს ასე არ იქნება, ხოლო ნებისმიერი კოოპერატივის გაუქმებით უსასრულობაში გადავიტანთ დღეს თითქოს ყველსგან მოწინებულ, მაგრამ გულში მრავალთა მიერ შერისხულ საბაზრო ეკონომიკის.

თავი უნდა დავანებოთ ხალხის ზურგს ამოფარების აპოლოგეტებს: მათ ვის ხელშიცაა ფონდები და მიკა და მისი ერთ-ერთი სექტორი არ აწყობს არა საზოგადოებას, არამედ ცენტრალიზებული ეკონომიკის აპოლოგეტებს; მათ ვის ხელშიცაა ფონდები და განრიგები, ვისაც ეკონომიკის მართვა ზევადან ქვევით დიქტატი უფრო ემარჯება, ვიდრე პორიზონტალური კავშირების დამყარებით, როცა უფროს-უმცროსობას ეკონომიკური ურთიერთობაში ადვილს უთმობს ურთიერთსამარგებლო პარტნიორობა ზევადან ქვევით და პირიქით.

**შურტაუზ ზანაპალიანი,**  
წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატიორთა რესპუბლიკური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

## საერთაშორისო სხარება

ამბობებულ ერაყელ ქურთთა ლიდერები ბაღდადში დაბრუნდნენ, რათა განაახლონ მოლაპარაკება ერაყის მთავრობისთან ქურთების ტანის ავტონომიის თაობაზე, როგორც ქურთების ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერმა თქვა — ერთიანი დემოკრატიული ერაყის ფარგლებში. მოლაპარაკების მთავარი თემაა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მომზადება ერაყში და ქურთთა ავტონომიური დასახლების საზღვრების დადგენა. დღევანდელი მეთაურობის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერი მისულ ბარზანი.

გომში გადაიფიქრეს, რადგან ვერ მიიპოვეს შეერთებული შტატების მხარდაჭერა. სენატის კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ერაყის არმიის ოფიცრებმა თანამშრომლობა შესთავაზეს ემიგრაციაში მყოფ ერაყელ დისიდენტთა ჯგუფს, მაგრამ, რადგანდაც შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა შეხვედროდა ბეირუთში ჩამოყალიბებულ ერაყელ დისიდენტთა კოალიციას, რომელიც ქურთების სურნებისა და შიიტებისაგან შედგება, ერაყელმა სამხედროებმა ხელი აიღეს თავიანთ განზრახვაზე.

სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოში შეძლების ექვსი ქვეყანა მოითხოვს, რომ ძალაში დარჩეს გაეროს ეკონომიკური სანქციები, სანამ ერაყი არ განადგურებს მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგს და არ დაბრუნებს ქუვეით-დაცა ცეცხლს სიმდებრეს. ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც კვირას ქუვეითში რეგიონალური უშიშროების საკითხებს განიხილავდნენ, მხარი დაუჭირეს ასევე ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებას არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გადასაჭრელად და მოუწოდეს ირანს, შეერთდეს რეგიონალური უშიშროების სისტემას, რათა თავიდან იქნას აცილებული ხელახალი ომის პერსპექტივა სპარსეთის ყურეში.

გიგორიბელ ებრაელთა მრავალიცხოვანი ხაკადი. ამის შესახებ განაცხადა ისრაელის ელჩმა აშშ-ში ზ. შევალმა ამერიკელ ებრაელთა კომიტეტში გამოსვლისას. მისი თქმით, ისრაელს სჭირდება 40 მილიარდი დოლარი, რათა სამუშაოთი და საცხოვრებელი უზრუნველყოს დაახლოებით ერთი მილიონი ემიგრანტი მომდევნო ხუთი წლის მანძილზე. ამასთან, ისრაელის მშენებლობის მინისტრმა ა. შარონმა, რომელიც კვირას შეერთებული შტატებშია, სამშობლოში დაბრუნდა, განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობა ეკლავინდებურად დაასახლებს ებრაელ ემიგრანტებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, ამ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის ამერიკის მიერ ისრაელისთვის დახმარების ვაჟებას. ლოგორც იცით, შეერთებული შტატების აღმინისტრაცია წინააღმდეგა ებრაელთა დასახლების ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.





# „ეს! ამერიკა, ამერიკა...“

სანადა — ამერიკის შთაბრძნელი

სამბლის წევრთა უმრავლესობა მგზავრობს. პირველ-სართულით ნაწილად იყოფა: წინა ნაწილი საბარგოა, ხოლო უკან ათი-ოდე ადგილია, რომელსაც ძირითადად მოცუკვავები იკავებენ. ამ ადგილს ბიჭები ხუმრობით „პოლიტიკოსებს“ ეძახიან. ზედა და ქვედა „პალატებს“ შორის კიბეა, რომლითაც ზედა „პალატის“ წევრები „პოლიტიკოსებს“ უკავშირდებიან.

ანსამბლს ვასტროლტებზე თან ახლდა თბილისელი ახალგაზრდა ფიზიკოსი, გიორგი თოფურია, რომელიც თარჯიმნის სოციალიზმის ასრულებდა. გიორგი ნიჭიერი, განათლებული და ენერგიული ახალგაზრდაა, იგი ახალისებდა ანსამბლს ამ ფრიალ ძნელი მოგზაურობის დროს. „გულ მორთინა“ — მოგვასაღებოდა ყოველ დღით გიორგი ავტობუსის მიწროფონით, მერე გავწვდიდა უკანასკნელ ცნობებს, რომელსაც იქაური პრესა, რადიო და ტელევიზია აშუქებდა, ამიტომ ანსამბლი დიდი ინტერესით ელოდებოდა გიორგის გამოჩენას. ანსამბლს თან ახლდა ცნობილი თეატრალი იური ბარამიძე. მან ფირზე აღბეჭდა ჩვენი ვასტროლტები თავისი კონცერტებით თუ ყოველდღიური ცხოვრებით.

აი, ასეთ სიტუაციაში გვიხდებოდა მგზავრობა.

გულმინდელი ვაშმის სარეზერვო ფონდიდან წამოღული საგზაოა. გზა თუმცა კარგია, მაგრამ მოლიპული, ხშირად გვიხდებოდა მანქანის გაჩერება და შემდგომად ლოლუების ჩამოფხვია. წინააღმდეგ შემთხვევაში გზას მძღოლიც ვერ დაინახავს. ნეტავ სადმე შეიძლება ზღაპრით გაჩერება, რომ ფეხები მაინც გავმართოთ, მაგრამ გარეთ 40 გრადუსი ყინვაა.

მთელი დღე თოვლის მეტი რომ ვერაფერი დავინახეთ, ამიტომ გოლიამდე იხუმრა: „ბატონო, ნამდვილად გავაკვირდები და გვიმალავენ“.

სალამოს ანსამბლ „რუსთავის“ წევრები ღიმილით უკრავენ თავს ალტაცებულ მყუდრებულს, რომელმაც არ იცის, რომ ამ ღიმილიანმა გოგო-ბიჭებმა დღეს 700 კმ გამოიარეს და ავტობუსში დაჰყვეს 12 საათი. ასეთი შემთხვევა განმეორდება არ არის. მთელი დღე ავტობუსით მგზავრობა, მერე


რეტულ კონცერტს გვიმართავს ავტობუსში. ანსამბლს ტაშისცემის ნაცემები მის ყოველ ნომერს. ეს მანდოლინა ბიბის საბჭოთა კავშირში შეუქმნია. ამასთან დაკავშირებით მან უსიამოვნო ამბები გაიხსენა: „საბჭოთა კავშირში სულ ერთხელ ვიყავი და მეტს აღარ ჩავალ, — თქვა ბიბისმა, — გორკის ქუჩაზე ვილაყას სცემდნენ, ხუთი ურტყამდა ეროს. მე გამოვესარჩლე და ვაშველებდი. ამ დროს მოვიდნენ მილიციელები და „დუბინკებით“ დაგვიწყეს ცემა მე და დახარალებულს, დანარჩენები გაიქცნენ. ქალები კი-ოდნენ, როცა მტყმდნენ ხალხი თანამეგრძობდა, მაგრამ ახლოს არავინ მოდიოდა. მერე მე იძულებული ვიყავი ინგლისურად დამეყვირა, რომ „ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტი ვარ-მეთქი. მილიციამ თავი დაანება, მაგრამ მე გამაკვირვა ხალხმა, რომელთაც აახებენ შეეცვალათ. მათ ჩემში

პასპორტი თან არ აღმომაჩნდა, შემეშვეს. ამ დროს ორი გოგონა მოვიდა, ისინი უპასპორტოდ შეუშვეს. ერთი მათგანი მომიანლოვდა, თავისი თავი შემომთავაზა 50 დოლარად და სასტუმროში შეყვანას შემპირდა.

მეორე დღეს ქუჩაში ისევ დამიჭირეს, ვინაიდან ამერიკელ ტურისტებს გავესაუბრე და სანამ არ გაარკვიეს ვინ ვიყავი, არ გამიშვეს.

მესამე დღეს „ბერიოზკაში“ შევედი. ვიფიქრე, რუსულ სუვენირებს ვიყიდი-მეთქი, გამყიდველს რუსულად დავუწერე ლაპარაკი და როცა სუვენირების ფული გადავიხადე დოლარებით, უცნობი პირები გვერდით ამოიღებენ და «სლედუიტე ზა ნა-ნი»-თ მიიჭრეს, მერე დამიწყეს დაკითხვა, თუ საიდან მაქვს ამდენი დოლარი და სანამ არ გარკვიეს ვინ ვიყავი არ გამომიშვეს.

ბიბის ნამბობმა ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც ბატონმა ლევან სალარაძემ მიაამო. იგი სირიაში ცხოვრობდა და დიდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. როცა საზღვრები გაიხსნა, ბატონი ლევანი საქართველოში ჩამოვიდა. უკან დაბრუნებისას ნათესავებმა იგი მოსკოვამდე გააცილეს, ლევანმა ისინი შეიყვანა.



ჩვენი საგასტროლო მარშრუტი ისეა დაგეგმილი, რომ თითქმის მთელი კანადა უნდა გადავტროთ. რაც უფრო ქვეყნის სიღრმეში შევიღვართ, თოვლი და სიცივე უფრო მატულობს. ანსამბლს გამოუყვეს ტექნიკური პერსონალის პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთი ნაწილი მიემგზავრებოდა გაცილებით ადრე სატვირთო მანქანით, გადაჰქონდათ და წესრიგში მოწყვდათ კოსტუმები და რეკვიზიტი, საკონცერტოდ ამაღლებდნენ სცენას (განათებას, მიკროფონებს, კულისებს, ფარდებს), გასაყიდად გაჰქონდათ ანსამბლის ფორფიტები, ბუკლეტები, აფიშები, მისულრები უარყოფით „რუსთავი“ და სხვა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ვენი (შუაბნის მამაკაცი), სცენის რეჟისორი და მტვირთავები, ხოლო ჩვენთან ერთად ავტობუსით მოგზაურობდა კომპიუტერი დირექტორი ბიბის, რომელიც პასუხისმგებელი იყო ანსამბლის ტრანსპორტირებაზე, სასტუმროში მოწყობაზე და სხვა. ბიბის მშვენიერად ლაპარაკობს რუსულად, საბჭოთა კავშირშიცა ნამყოფი, პროფესიით მუსიკოსია, კარგად უკრავს მანდოლინაზე, გამოშვებული აქვს საკუთარი ფორფიტა, რომელსაც კონცერტის დროს ყიდის ჩვენი ფორფიტების ერთად. ავტობუსის მძღოლი, რობერტი, ფერადკანინია. იგი დაუხარული და გულკეთილი აღმამიანია. მას ყოველდღე უხდება ანსამბლის წევრთა (56 კაცი) პირადი ბარგის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა, ხან უთენია, ხანაც ვეინა ლამით, რაც, დამერყმუნებით, ერთი კაციისთვის ადვილი საქმე არაა. რობერტი მალაილი კლასის პროფესიონალი მძღოლია. იგი ისე გრძობს ამ უზარმაზარ ავტობუსს, როგორც საკუთარ სულს. მანქანა ყოველთვის მოვლილი ჰყავს. მთელ თავისუფალ დროს ავტობუსის დასუფთავებას აწოდებდა, იგი არ ფიქრობს სადმე „ხალტურაზე“ გაეარდნას, რომ როგორმე ცოლ-შვილი გამოეყვებოს, რადგან მისი ხელფასი მგონი ორ ოჯახსაც შეინახავს (საწყალი ჩვენი მძღოლები).

რობერტის ავტობუსი ორსართულიანია. ზედა სართული ან-

ბოდა მგზავრობა. თავდაპირველად ქალაქებს შორის მანძილადი არ იყო და ავტობუსი ამ გზას 4-5 საათში ფარავდა, რაც უფრო შევიდით კანადის სიღრმეში, ქალაქებს შორის მანძილმა იმატა და მგზავრობაც უფრო გაძნელდა.

მორიგი კონცერტი კინგსტონში გაკმართეთ. კინგსტონი საუნივერსიტეტო ქალაქია, სულ 60000 მცხოვრებით. მიუხედავად ამაა აქვს დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც კონცერტზე სავსე იყო სტუდენტებით. თითქმის ყოველ ნომრის შემდეგ ისინი კვიდნენ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და გვიმართავდნენ ოვაციებს.

იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა, დილით ქალაქი დავათვალიერეთ, ქუჩებს თოვლისგან წმენდნენ ხელის პატარა ტრაქტორებით, რომელიც დაახლოებით სკამის ოდენა თუ იქნებოდა. ეს ტრაქტორები ისე უზაროდ ასუფთავებდნენ ქუჩებს, რომ ჩვენ გაკვირებული მივჩერებოდით. ამან გამახსენა რუსეთში, დაბამულ ტანსაცმელში გამოწყობილი, თავიარახვეული ქალები დიდი ხელოთამხებით. თოვლისგან ბარებით რომ წმენდენ ქუჩებს, რა მიმზე შრომაა, პირდაპირ აუტანელი. ქალებს კი არა, კაცებსაც უჭირათ ასეთი სამუშაო შესრულება. საერთოდ უცხოეთში ქალებისათვის შედარებით მსუბუქი სამუშაოა გამოძენილი. გარდა საბჭოთა კავშირისა არსად შეგვევლირებარ: „ტრაქტორისტკებს“, „ბეტონშიცებს“ და „კრანოვშიცებს“.

კინგსტონიდან ქალაქ სადბერში გავემგზავრეთ. დიდი გზა გვქონდა გსავლელი, ამიტომ დილით 5 საათზე გაავლიდა ანსამბლის წევრები დასის გამგემ ტარიელ ამაშუკელმა, უძინარები, წინაღამის კონცერტით დაღლილი „რუსთაველები“ სიცივისგან მოზღუდულები უხალისოდ აღიოდნენ ავტობუსში.

ყინვა 40 გრადუსამდე აღწევს. ყველა ფანჯარა ყინულითაა დაფარული. ირგვლივ არაფერი არ ჩანს, მარტო მძღოლის ფანჯარა იწმინდება. მთელი დღე მივდივართ ტიფაში, არც ერთი დასახლებული პუნქტი არ ჩანს გვიან. სადმე რომ დანაყრდნობის საშუალება იქ არა გვაქვს. მალ-ლობა დმერთს, რომ ზოგიერთებს

რე სასტუმროში მოწყობას ვერ ვასწრებთ. სცენა, რეპეტიცია და ისევ მყუდრებულთან შეხედვარა. ამას ემატება ისიც, რომ ხალხან ყინვა 30-40 გრადუსამდე აღწევს, ასეთ ამინდში მთელი დღე ავტობუსში ყოფნა და მერე მალაღონებზე კონცერტის გამართვა, დამერყმუნებით, მეტად ძნელია. ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობა სულს მისაღებნი გასეირნება, ეს წარმატებაც თავდაუზოგავი წარმის, უდიდესი დატვირთვისა და ენერჯის ხარჯვის შედეგია. ჩვენი გოგო-ბიჭების სასაბულოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავს არ ზოგავენ, ვინაიდან სტიმულს გვაძლევს ორი რამ: საქართველოსა და მისი ხელოვნების რეკლამირება უცხოეთში და მთავრც მთელი საკონცერტო შემოსავალი ვალუტით პირველად ანსამბლების ისტორიაში — საქართველოში მოგვყავს.

ახლა ისევ პრესას მივმართოთ: „გულმინდელ კონცერტზე მომდერლებსა და მოცუკვავებებს მიერ წარმოდგენილი ურთულესი მასიური სცენები, უდიდესი შრომის შედეგია და ალბათ შექმნილია იმისათვის, რომ მყუდრებელი შოკში ჩაადგონ, რასაც ანსამბლის წევრები დიდებულად ახერხებენ“.

... იყო საქორწილო სიმღერები და ცეკვები. სცენა სანთლებით იყო განათებული, სიმღერა არა-ჩვეულებრივად სახეიმო, ხოლო ცეკვა გრაციოზული და ნახი. ყოველივე ამან წარმოდგენა შეგვიქმნა ქართველი ხალხის უძველეს და უღამაზეს ტრადიციებზე“.

ეს პრესა ბიბის მოაქვს ხოლმე და ავტობუსში გიორგი გვიკითხავს, რომ ხალხი გაამხიარულეს. ბიბის მხიარული და კეთილი კაცია. მას თან დააქვს თავისი მანდოლინა და ხშირად იმპროვიზი-

ნა „ბერიოზკაში“ და საუბრები უყიდა. როდესაც დოლარებით საქაოდ დიდი თანხა გადაიხადა, იგი გვერდით თანაში შეიყვანეს და დაუწყეს დაკითხვა, თუ ქართველს საიდან აქვს ამდენი ვალუტა. არც კი ჰკითხეს, რომელი ქვეყნის მოქალაქე იყო, ისე ლანძობდნენ უშვირი სიტყვებით, მერე წონასწორობა დაკარგეს და მილიციაც კი გამოიძახეს თურმე. მანქანას კიდევ რამდენიმე „გადაცმულიც“ მოჰყვა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელზე ბორკილები დადებდა დაუპირეს, მაშინ ბატონმა ლევანმა ამოიღო თავისი სირიული პასპორტი და რომელიც უფროსად შეიწირო, იმას მიართვეს ცხვირში ისე, „დურაჩკაში“ წაგებულეს რომ უკეთებენ კარტით, თანაც სასწრაფოდ მოითხოვა სირიის საელჩოსთან დაცემორება. მაშინ კი დაფრთხნენ და პატიება ითხოვეს. ბატონი ლევანი ჩერ კატეგორიულ უარზე იდგა, მაგრამ მერე უთხრა: „რუსი ამას გააპტიებდათ? ბედი თქვენი რომ ქართველი ვარ, ქრისტიანი და წმინტეებელი“.

მძღოლმა, რობერტმა, გამოგვიცხადა, რომ ვუახლოვებდით სასა-უხემე „მაკდონალდს“ და იქ შევიდით 45 წუთს „მაკდონალდს“ მთელს მსოფლიოში ყველაზე იაფფასიანი სასაუზმეა, ამიტომ საბჭოელები, როგორც წესი, იქ ვსაუზნობთ ხოლმე.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მორღებული „მაკდონალდსი“ სასაუზმეები, ცოტა ხნის წინათ იგი მოსკოვშიც გახსნეს. კანადის ტელევიზიამ აჩვენა მოსკოვში „მაკდონალდის“ გახსნის ცერემონიალი, აჩვენა უწყვეტი რიგები. ასეთი რიგები ლენინის მავზოლეუმთან მინახავს მხოლოდ, შეიძლება კომენტარი გაუკეთეს მოსკოვურ „მაკდონალდს“ და აღნიშნეს ამ ფაქტის მნიშვნელობა: — „ათი წელი მოგვინდით მოსკოვში „მაკდონალდის“ გახსნას, — თქვა ტელევიზიით ფირმის კომერციული დირექტორმა, — რუსებს ვასწავლეთ კარტოფლის სპეციალური ჯიშის მოყვანა, სპეციალური ჩიშების საქონლის გამოყვანა და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ვერაფრით ვერ ვასწავლეთ გადომება, რაც ასე აუცილებელია მოსამახურე პერსონალისთვის“.

ანწორ ვარამაიშვილი (გაგრძელება იქნება)



ერთიანი გიგანტური

საპარტიზო არაერთხელ დააღდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას, მაგრამ სრული თავისუფლება — სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი — ვერა და ვერ მოიპოვა. ახლა როცა ერთიანი მობრძობის შინაარსის საკუთარი სახელმწიფოებრიობის ძიება შეადგენს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკური სიტუაციებისა და სამართლებრივი აქტების ანალიზს, რომლებიც სრული სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ იყო მიმართული.

ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, მართლაც დემოკრატიული და მისაღები პრინციპია დღესაც, მაგრამ თქმა იმისა, რომ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა თვითგამორკვევის გზით, მკრეხელობაა. ქართველი ერი ჯერ კიდევ ჩ. წ. აღმდეგ ჩამოყალიბდა, შემდეგ საკუთარი სახელმწიფოებრიობა და კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე დიდ როლს ასრულებდა მსოფლიოში. XX ს. დასაწყისში კი „გეგმვის-ტყაოსნის“ შემქმნელ ერს, თვითგამორკვევის უფლების საფუძვე-

იმპერიის შემადგენლობაში ძალადობით გაერთიანებული საქართველო, იურიდიულად (დე იურე) არ შეიძლება ჩათვალიყო და არც იმყოფებოდა რუსეთის შემადგენლობაში. ვინაიდან საქართველო არ შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ე. ი. არ მონდარა შეერთება, ამიტომ I მუხლში გამოყენებული ტერმინი „გამოყოფა“ სრულიად უსაფუძვლოდა ნახსენები და ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს.

ცილისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ მიმართული ქმედებისათვის. „შენიშვნა: საქართველო ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ განათავსდეს ის პირები, რომლებიც იმყოფებიან პარტიზობაში ზემოაღნიშნული ქმედებისათვის“. მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ ეს მუხლი წარმოადგენს, საქართველოს შინაგან საქმეებში რსფსრ-ს ფაქტობრივად ჩარევის მცდელობას, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ზემოთ მოხსენებული II მუხლის დებულებას.



### ვისას გელაჰვი კალა ჰქონდა...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე რომ მკითხონ რომელია ყველაზე ვაჟკაციური სპორტის სახეობა, დაუყოვნებლივ ვუპასუხებ: მკლავჭიდის ეს არც ჩემი ახირება გახლავთ, არც ვინმესთან თავსმოხვეული აზროვნება. მასში მართლაც ყველა სიტყვა არის თავმოყრილი რაც ვაჟკაცს ახასიათებს: რა თქმა უნდა, განუზომელი ძალა, მეტოქისადმი პატივისცემა, საკუთარი ღირსების მარჯვენით დაცვა და ჭიდილი, ჭიდილი...

ჩემი პოზიციის დასტური იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული საქართველოს ლია ჩემპიონატი მკლავჭიდში. ამ ტურნირმა, დარწმუნებული ვარ, არა ერთ და ორ სპორტის მოყვარულს გააზიარებინა ჩემი აზრი.

ტურნირზე უცხოეთის წარმომადგენლებსაც ელოდებოდნენ მასპინძლები, მაგრამ მოსკოვის სპორტის მესვეურებმა ნაცადი ხერხებით — გაყალბებული ცნობების მიწოდებით აიძულეს ზოგიერთი სპორტული დელეგაციის არ ჩამოსულიყო მოსკოვში. ვინც კი ჩამოვიდა, ისე სამინდობად დაუხატეს საქართველოს ვითარება „ომია საქართველოში“, რომ მათ თავადვე თქვენ უარი თბილისში გამოგზავრებაზე.

მთხედრად უცხოეთის ჩამოსული დელეგაციის მეთაურებმა მინც მალაღონე ჩატარდა. სამასამდე კაცმა გამოსთქა სპორტული გამოცდას საკუთარი მარჯვენის ძალა. თუმცა, რატომ მარჯვენის? — ცაცებისათვის ხომ ცალკე გამართა ტურნირი. შემარცხენები და მემარჯვენეები 5-5 წონით კატეგორიაში ეჭიდებოდნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ტურნირზე იყო კურიოზებიც, არაერთმა ახალბედა ათლეტმა გაოცა გულშემატკივრები, ზოგმა ცნობილმა მკლავჭიდელმა, ფავორიტებად რომ ითვლებოდნენ, საკმაოდ უღიმღამოდ ისპარხნა. ორდღიანი ბრძოლის შემდეგ საქართველოს ჩემპიონის წოდება ღირსეულად მოიპოვა ზესტაფი-ნელმა ზაურ ცხადამემ. თუმცა, აბსოლუტური ჩემპიონობის წოდებისათვის გადამწყვეტი ორთაბრძოლა არ შემდგარა — ტრამვის გამო ფინალში ვერ იასპარეზა მესტიელმა ერეკლე გურჩიანმა.

ამ ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ეროვნული ნაკრები მკლავჭიდში, რომელიც, თუ ყველაფერი ისე წარიმართა როგორც ჩვენ გვსურს, იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე.

ნონა ლომიძე

საპარტიზო: რამდენიმე წლის შემდეგ ზაურ ცხადამეს ხერხიერი კონკურენცია ენუქრება გიორგი ჭავჭავაძისა (მარცხენი) და მიხეილ გულოშვილის (მარჯვენი) ხაზით...

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი აქტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, წოდებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის შორის. ამ იურიდიული დოკუმენტით აისახა რუსეთისა და საქართველოს ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, აღიარებულ იქნა დემოკრატიული საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. მხარეები პრაქტიკულად (შესავალ ნაწილში) აცხადებენ, რომ ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობდნენ საერთო სურვილით — დამყარებისათვის ორ ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა თითოეულ მათგანში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ. ერთი სიტყვით, 7 მაისის ხელშეკრულება უნდა გამხდარიყო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ორი ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობის და მჭიდრო თანამშრომლობის მყარ საშარბათლებრივი საფუძველი. სამწუხაროდ, ამ ხელშეკრულებამ სულ რაღაც 9 თვის მანძილზე იარსება. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს შეიარაღებული ინტერვენციით ხელშეკრულებამ მოქმედება შეწყვიტა.

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ

ლზე ათავისუფლებს საბჭოთა რუსეთი. ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, სატრალი რომ არ იყოს. ნუთუ არ იცოდნენ საქართველოს და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა დაკარგა მეფის რუსეთის მიერ 1801 წლის ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შედეგად, რომელსაც შემდგომ მოჰყვა საქართველოს სხვა კუთხეების მიერთებაც, ხოლო 1918 წლის 26 მაისს საქართველო განთავისუფლდა არა თვითგამორკვევის საფუძველზე, არამედ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზით. ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ არ მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებამ პირველი მუხლის აღნიშნული ნაწილის სხვაგვარად (კემარიტად) ფორმულირება? საქმე ისაა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც და რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლებაც, მარქსიზმის მიმდევრები იყვნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ბრძანებს: „ერი, ეროვნული იდეა სრულიად ახალი მოვლენაა, ის გასული საუკუნის ღვიძლი შევილია“. ე. ი. ნ. ყორღანის აზრით, ქართველი ერი რუსეთის იმპერიის წიაღში ჩამოყალიბებულია ერად. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტმა მარქსიზმის პრინციპებიდან გადახვევას საკუთარი ერის დამდაბლება და დამცირება არჩია.

დამოკიდებლობაში ძალადობით გაერთიანებული საქართველო, იურიდიულად (დე იურე) არ შეიძლება ჩათვალიყო და არც იმყოფებოდა რუსეთის შემადგენლობაში. ვინაიდან საქართველო არ შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ე. ი. არ მონდარა შეერთება, ამიტომ I მუხლში გამოყენებული ტერმინი „გამოყოფა“ სრულიად უსაფუძვლოდა ნახსენები და ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს. მეტად არაობიექტურადაა ფორმირებული I მუხლის მეორე ნაწილი: „...თავისი ნებით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხისა და ქართული მიწის მიმართ“. არავითარი უფლება ქართველ ხალხს არ გააღაუცია დამპყრობლისათვის, აქ-

დან გამომდინარე, ქართველი ხალხისა და ქართული მიწის მიმართ რუსეთს არავითარი სუვერენული უფლება არ გააჩნდა და არასცნულზე უარის თქმის ბრძვივა ლანდარობას უფაო წააგავს, ვიდრე სიტუაციის სწორ პოლიტიკურ და იურიდიულ შეფასებას.

II მუხლის დასასრული „...რუსეთი კისრულობს უარი თქვას ყოველგვარ ჩარევაზე საქართველოს შინაგან საქმეებში“ — არსებითად ეწინააღმდეგება I მუხლის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ „... რუსეთი უსიტყვოდ აღიარებს ქართული სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს რეალური სუვერენიტეტი გააჩნია მაშინ, როდესაც იგი სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარ საშინაო და საგარეო საქმიანობას. ე. ი. II მუხლის აღნიშნული ნაწილი შემდგომად უნდა ყოფილიყო ფორმულირებული: „...რუსეთი უარს ამბობს ყოველგვარ ჩარევაზე საქართველოს შინაგან და საგარეო საქმიანობაში“.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ფუძემდებლური პრინციპების განხილვა ნათლყოფის თუ რამდენად მიიმე მდგომარეობაში იქნა იგი დადებული საქართველოსათვის. ამ მიმე პირობების გამო საზავო ხელშეკრულება მეტად უღელური აღმოჩნდა. პირველი, რაც ამ ხელშეკრულების ვარგად მხარეზე უნდა ითქვას, არის ის, რომ იგი შედგენილია 2 ცალად რუსულ ენაზე. ალბათ, სასურველი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი ერის წარმომადგენლებს იმაზეც ეზრუნათ, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობის დოკუმენტების ორიგინალი ქართულადაც ყოფილიყო.

თბილისში მოკლდული I მუხლი გამოყენებული ტერმინი „გამოყოფა“. საქართველო არ შესულა (მით უმეტეს, საკუთარი ნებით) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მან სახელმწიფოებრიობა დაკარგა უშუალოდ დაკარგობის შედეგად. ასე, რომ ფაქტურად (დე ფაქტო) რუსეთის

## სიტოგონ ნუ მოვაკლავთ...

ორი წლის წინათ რუსთაველი მცხოვრები ენთუზიასტების — თამაზ კვარაცხელიას და თამაზ ქუშნიასვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა რუსთაველისა და საინფორმაციო ქართული სკოლების მეგობრობას. პირველად რუსთაველის მე-18 სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ კახის ქართულ სკოლას, შემდეგ თანდათანობით სხვადასხვა სკოლები და ბავაბლებიც ჩაებნენ ამ კეთილშობილურ საქმეში და მეგობრობის ხიდიც გაიღო. თუმცა, არა მარტო სკოლები უწყვეტენ შეფობას, არამედ მთელი ქალაქის სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებმა თუ ქარხანა-დაწესებულებებმაც გაუწოდეს დახმარების ხელი საინფორმაციო მეგობრობის დასაყენების შესანიშნავი პირობები შექმნეს ალიბეგლოსა და კახის სკოლების მოსწავლეებს სურამში.

მა „საინფორმაციო“ სურვილი გამოთქვა ამხანაგური მატჩი ჩაეტარებინა პირველი ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორთან რუსთაველის „გორდასთან“.

ყურებელთა სამართლიანი ოვაციებით დაიმსახურეს განსაკუთრებით გვირდა გამოყოფით „საინფორმაციო“ რიგებიდან მათი შეკარე და კაპიტანი ჯემალ ყორღაშვილი, რომელიც არაერთხელ გამოიჩინა თავი ქარგი რეაქციით. ასევე აღსანიშნავია სტუმართა რიგებში თამაზ ნაცვლიშვილი, რომელიც აქტიური თამაშით დაგვაბახსოვრდა

და აი, ითითალას დღეგაცია რუსთაველს ესტუმრა, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეუქმნა სტუმრებს. პირველ საღამოს მეტალურგთა კლტურის სასახლეში ითითალელთა საპატივსაცემოდ ჩატარდა შეხვედრა-კონცერტი ანსამბლ „სალობინოსთან“ (ხელმძღვანელი — ბატონი ჯუმბერ გონაშვილი), მეორე დღეს კი რუსთაველის „ფოლადის“ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგა ორი გუნდი — „გორდა“ და „საინფორმაციო“. სტუმრები, როგორც გუნდის ხელმძღვანელობამ გეითხრა, ბელაქანის რაიონის მრავალგზის ჩემპიონებმა არაანქმვარამ „გორდა“ ამ დღეს მეტად მკაცრი გამოცდელი აღმოჩნდა.

სულ ახლახანს კი ბელაქანის რაიონის ერთადერთი ქართული სოფლიდან — ითითალადან (სადაც 400 კომლი ცხოვრობს) სინტერესო იდეაც წამოვიდა — ადგილობრივმა საფეხბურთო გუნდ-

ამ მატჩის შედეგად, ვფიქრობთ, არავითარი სპორტული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ითითალელმა ფეხბურთელებმა მეტად საჭირო გამოცდილება შეიძინეს და ზოგ მომენტში მა-



აღმკანდა კობორაშვილის ფოტო.

**მამაკაცთა საჭურავლო**  
ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.  
თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოაბერატივ „კონტაქტს“.

**ბატივცემული მამაკაცები**  
მხოლოდ ჩვენთანაა დანერგული იმპოტენციის (მათაკაცის სქესობრივი უძლურება) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოიჩინება მაღალი შედეგიანობით.  
ჩვენთან დანერგული ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ერექტორითერაპია, მედიკამენტოზური, აბიურაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.  
მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49, (საორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.  
მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.  
შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.  
მკურნალობა ანონიმურია.  
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

**მათთვის, ვინც სოფლის მეურნეობაშია დაბრუნებული**  
მებაღეობისთვის და სანერგე მეურნეობისთვის გთავაზობთ ტორფსა და ორგანულ ქონებს.  
ზემოსხენული „ფერმერის კომპლექტი“ უზრუნველყოფს ბოსტნეულის, ხილის, ყვავილებისა და სხვა მცენარეების ზრდას ზუნებრივ პირობებში.  
გაყიდვა წარმოებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.  
მისამართი: ავჭალის გზატკეცილი №75-ს და №77-ს შორის მდგარი წითელი ჯიბური წარწერით: „სამანა“. მოგვმართეთ ყრველდღე დასვენების დღეების ნათელი 9 სთ-დან 20 სთ-მდე.

**სამეცნიერო საწარმოო კოაბერატივი „სამეცნიერო-2000“** სთავაზობს მსურველებს 5 წლის ვაზ-24 მარკის და 2 წლის ვაზ-2109 მარკის ავეტო-მანქანებს.  
ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 99-66-81 (8 სთ-დან 18სთ-მდე) ან 69-15-40 (18სთ-დან 18სთ-მდე).  
იკითხეთ ვასიკო.

**ფირმა „ხილი“**  
ვისაც სურს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მეგობრის შეძენა, ოჯახის შექმნა, სამუშაოდ ან საცხოვრებლად წასვლა, მიაკითხეთ ფირმა „ხილი“.  
ჩვენი მისამართი: სარაჯიშვილის ქ. №8

**მკურნალობა — უყადო, მაღალეფექტიური**  
მრავალდარგოვან გავრთიანება „იბერია 1991“-ში კვლავ შეუდგენენ მუშაობას უძლიერესი ბიოენერჯის მქონე ექსტრასენსები, **და-ძმა ირმა და გონა ნადირაძეები**, რომლებმაც რამოდენიმე წლის წინ პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს მსოფლიოში აღიარებულ ჯუნა ლავრთაშვილთან.  
ექსტრასენსებს და-ძმა ირმა და გონა ნადირაძეებს აქვთ უნარი ავადმყოფებს დაუსვან ზუსტი, უტყუარი დიაგნოზი და შემდეგ მკურნალობა დისტანციური მანძილიდან სათანადო მიმართულებით წარმართონ.  
და-ძმა ნადირაძეები მკურნალობენ შემდეგი სახის დაავადებებს: სისხლ-ძარღვოვან დისტონიას, თავის ტკივილებს, კიდურების ტრავმის დროს ძვლის რეგენერაციის გააქტიურებას, მხედველობის დაზიანებას, გინეკოლოგიურ დაავადებებს, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, სმენის დაქვეითებას, უძილობას, უნებლიე შარდვას და სხვა.  
ექსტრასენსები და-ძმა ირმა და გონა ნადირაძეები ავადმყოფებს ღებულობენ საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულ მრავალდარგოვან გავრთიანება „იბერია-1991“-ში. მიხედვით წინამძღვრიშვილის ქ. №126-ში (ყოფილი კლარა ცეცკინის ქუჩა). ყოველ დღე კვირის გარდა 17-დან 20 საათამდე. შაბათს 13 სთ-დან 15 საათამდე.

საქართველოს სახალხო ფონდის საქველმოქმედო ასოციაცია „ლორსინების“ მ/დ კოაბერატივი „სამანა“ კოლექტივი სთხოვს ქ. თბილისის გლდანის რაიონის აგროსამრეწველო ბანკის შპს-ის შპს-ის ბატონ მგორჯაძეს — კოაბერატივის №300461257 ანგარიშიდან გადარიცხოს 3000 ზანეთი 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებულ საქართველოს რაიონების დაზარალებულ ფონდში. ასევე კოაბერატივი „სამანა“ იწყებს ახალ კომერციულ საქმიანობას, საიდანაც მოგების დიდ ნაწილს გადარიცხავს იგივე ფონდში.  
კოაბერატივის კოლექტივი სამომავალს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

**ვიზების სათარგმნელად მიმართეთ ფირმა „ქუჩაში“** სერვის ბიუროს. ვიზების თარგმანს და დამოწმებას სდება ერთ დღეში. უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ ჩვენთანვე შეიძინონ შეხაზბისი ანკეტები და ვიზების ქსეროასლები. შეკვეთები მიიღება ყოველდღე 10<sup>00</sup>-19<sup>00</sup> საათამდე გარდა კვირისა.  
მისამართი: ონიავილის ქუჩა №11, (გაგარინის მოედანთან) საბურთალო.

**მკირე საწარმო „ესთეტი“**  
აცხადებს მუშების მიღებას სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად.  
ცნობებისათვის მიმართეთ ალ.ყაზბეგის პრ. №44 (ყოფილი პავლოვის ქუჩა). ტელეფონი 39-48-27.

**სამშენებლო ორბანიზაციების საჭურავლო**  
მრავალპროფილიანი კოაბერატივი „კომპლექს-90“ გთავაზობთ **სამშენებლო გლობალის დაამაგადებელ ვიბროდანადგარს**.  
წარმადობა — 60მ ცალამდე საათში.  
ბლოკის (390X200X175) დასამზადებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წილის, ღორღის ან კერამიტიკის ნარევი.  
ტელ.: თბილისში — 51-75-09 (18.00—23.00 სთ)  
სოხუმში — 4-27-92

**სითგოს ნუ მოვაკლებთ...**  
(დასასრული)  
გაზრდებამ — ალექსანდრე ბურნაძემ, კახა ალაღაშვილმა, ზაზა პატრიძემ და ვეფხია სულაძემ. ვფიქრობთ, რომ ამ პერსპექტიული ჯგუფის სახით „გორდის“ შესანიშნავი რეზერვი ვხვდებით. გუნდებმა ეს მეტად კორექტული შეხვედრა, რომელსაც უნარიანად წარმართავენ რუსთაველი მსაჯი ჯემალ წერეთელი, შემდეგი შემადგენლობებით ჩაატარეს: **ბორბა: ქორძე, ბურნაძე, ავაქიანი (ლობჯანიძე), ქასრაშვილი (კუდინოვი), ხუდაძე, ალაღაშვილი, ტ. კაპანაძე (ფირცხალაძე), შეტრეველი, ა. კაპანაძე (კილახონია), პატარიძე, მიქაშვილი (თორღაშვილი).**  
„სანიშნავი“: ჯ. ყორაშვილი, ვ. ბაღურაშვილი, ქორაშვილი, ბ. მოხეშვილი, ნაცვალაშვილი, ი. ყორაშვილი, ნ. მოხეშვილი, შ. ნაცვალაშვილი, ნ. მოხეშვილი, ვ. ბაღურაშვილი, თ. ნაცვალაშვილი.  
მატჩის შემდეგ გავსაუბრეთ რუსთაველს „გორდის“ გუნდის უფროსს ბატონ დავით შუბითიძეს: „უს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება... რამდენი წელიწადია მე ამ გუნდში ვმუშაობ და ასეთი გრძობა არასოდეს მქონია — ესენი ხომ ჩვენი ღვიძლი ძმები არიან... მე მთელი გუნდის აზრს

**ბასნორკა**  
4 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაციის აღმასკომის წევრთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთან, ბატონ ლევან ალექსიძესთან. რედაქციის მიზნით მასში დაშვებულია ბოლოს წინა აბზაცი ასე უნდა იქითებოდეს: **საპრეზიდენტო საარჩევნო კანონი უკვე არსებობს. არჩეულ პრეზიდენტს დაემორჩილება მთავრობა. პარლამენტი და უზენაესი სახანაო და მოუკიდებელი რგოლებია. ეს სამი რგოლი ურთიერთ გამათანაბრებელი იქნება.** რედაქცია ბოლომდე უხდის მკითხველს და ბატონ ლევან ალექსიძეს.  
**გიბ ბაშაშვილი**  
სურათზე: საქველმოქმედო მატჩის მომენტი.  
რამდენ ბაბრიშიძის ფოტო.

**ხალხური რეპრეზენტაციის**  
თუ გავით სურვილი მიიღოთ შიდაწილობა ასოციაცია „შისა“-ს მიერ მოწყობილ გამოფენა-გაყიდვებში, მიაკითხეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის 68, II სართული, ოთახი №13.  
ტელეფონი: 95-61-98.  
ასოციაცია „შისა“

**333ლი** ოროთახიან და ერთოთახიან ბინას ნუ-ცუბიძის პლატოს მე-4 მკრ-დან სამოთახიან ბინაზე საბურთალოზე.  
ტელ.: 39-30-73.

**მსურს ვიძირავო**  
ერთოთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრში. სასურველია ტელეფონით.  
დარეკეთ: 37-58-25.

**ხალხმართა ვეროელი**  
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 93-91-58; წერილების განყოფილება — 93-96-49.  
საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ ხტამა თბილისი, შ. კობახაძის 14, იბეჭდება ოფტეტური წებით საგაზეთო კორპუსში ბოშარაულის 29.  
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.  
**НАШ ИНДЕКС 66400**

**რედაქტორი მერაბ პალარჯიშვილი**  
რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096 შ. კობახაძის ქ. № 14.